სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

საკონკურსო დოკუმენტაცია

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის მიზნით

ქ. თბილისი 2011 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო აცხადებს კონკურს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. გორში, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს - შიდა ქართლის რეგიონალური ბიუროს ადმინისტრაციული შენობისა და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სრული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3. კონკურსის მსვლელობისას უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტის კრეატიულ იდეას, არასტანდარტული და არაორდინალური შენობის დიზაინს, რაც გულისხმობს ორიგინალურობისა და პრაქტიკულობის სინთეზს.
4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **15 000,00 ლარს (თხუთმეტი ლარი და 00 თეთრი).**
5. დაფინანსების წყარო: სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასაბიუჯეტო შემოსავლები.
6. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე.**
7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარი.
   7.1. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე ლარებში (www.procurement.gov.ge).

მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
	ბანკის კოდი: 220 101 757
მიმღები	მიმღები: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
	მიმღების ანგარიშის # 10591718543

   7.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცახდებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

8. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–6 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
11. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება - **2011 წლის 27 ივნისს 15:00 საათზე.**
12. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ **2011 წლის 27 ივნისს 15:00 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზგების გამზ. #42, **სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ ოფისში.**
13. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.
14. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
15. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
16. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

17. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
18. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (15 00,00 ლარი) არ განიხილება.
19. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით:

№	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0,8
2	საკონკურსო წინადადების ფასი:	0,2
	სულ:	**1.0**

20. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.
21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

22. **კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:**
23. საკონკურსო წინადადების ფასი **დანართი #2**-ის მიხედვით (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში. ამასთან იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი და მითითებული უნდა იყოს დღგ–ს გარეშე.
24. გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია, ესკიზი, განმარტებითი ბარათი, შენობის გარე იერსახის, ცენტრალური შესასვლელის დიზაინერული გადაწყვეტა და ეზოს კეთილმოწყობის არქიტექტურული გადაწყვეტა **დანართი #4**-ის შესაბამისად.
25. ინფორმაცია კონკურსანტის მიერ <u>საქართველოს მასშტაბით განხორციელებული და რეალიზებული ადმინისტრაციული ან საცხოვრებელი შენობის არანაკლებ სამი არქიტექტურული პროექტის შესახებ</u> (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად);
26. კონკურსანტის შეთავაზება (რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი, ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად) **დანართი #2**-ის მიხედვით;
27. აფიდავიტი (შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ) **დანართი #1**-ს მიხედვით.
28. კონკურსში მონაწილის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია მის მიერ 23-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ელ. ვერსიის (პრეზენტაციის) სახით.

29. **საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:**
    29.1. იურიდიული პირებისათვის:
    (1) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
    (2) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.
    29.2. ფიზიკური პირებისათვის:
    (1) პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ან/და გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობის ასლები;
    (2) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.
30. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან გაცემული უნდა იქნას მხოლოდ საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღიდან.
31. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.
32. კონკურსი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

33. **მიწოდების პირობები და ვადები:**

33.1. კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ პროექტი (ესკიზი) შედგენილი უნდა იქნეს **დანართი #4-ში** მითითებული ტექნიკური პირობების შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კონკურსის მომწყობს წარუდგინოს არქიტექტურული პროექტი, დაბეჭდილი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით გამოფენისთვის, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება, ხარჯთაღრიცხვა და მშენებლობის დასრულების სავარაუდო ვადები.

33.2. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით) შემდეგი შემადგენლობით**:**

33.2.1. არქიტექტურული პროექტი: თავფურცელი; განმარტებითი ბარათი; ტექ.ეკონომიკური მაჩვენებლები; სიტუაციური გეგმა; გენ.გეგმა (მოსასვენებელი სკვერით, ავტოსადგომით ტევადობით 15-20 ავტ.-ზე); საძირკვლის გეგმა; ავარიული გეგმა (სავალდებულოა ავარიული გასასვლელი); გადახურვის გეგმა; ფასადები და ჭრილები; ვიზუალიზაცია (ფოტომონტაჟი, 3D ვიზუალიზაცია); გამოყენებული მასალების სპეციფიკაცია;

33.2.2. სუსტი დენები (კომპიუტერული, სატელეფონო და სატელევიზიო ქსელები);

33.2.3. სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;

33.2.4. ვიდეო-სათვალთვალო სისტემა;

33.2.5. გათბობა;

33.2.6. ვენტილაცია და კონდიცირება;

33.2.7. სარეზერვო ელექტრო მომარაგება (დიზელ-გენერატორი, დამიწების კონტური, ავტომატური გადამრთველით და დამცავი ნაგებობით);

33.2.8. შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;

33.2.9. ეზოს სარწყავი სისტემის სქემა;

33.2.10. ეზოს განათების სისტემა;

33.2.11. კონსტრუქციული ნაწილი;

33.2.12. მშენებლობის ორგანიზების პროექტი, მშენებლობის გრაფიკი;

33.2.13. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (მაქსიმალური ღირებულება 250 000 ლარი);

33.3. შემსყიდველი იტოვებს უფლებას გამარჯვებული კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული პროექტის რეალიზება მოახდინოს საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში, მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42, **საკონტაქტო პირი:** ბათუ ჭითავა ტელ: (+995 32) 210 59 73.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42),
წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის მიხეილ ღურწკაიას სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 534 502;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ - ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ/ნომერი: 771 056 400
(შემდგომში “შემსყიდველი”)

და მეორეს მხრივ ---------- (მისამართი: ----------) წარმოდგენილი ---------- სახით
საიდენტიფიკაციო კოდი:
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი:
ა/ა:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ----------
---

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: ---------
---

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
   ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები** დანართი N_ შესაბამისად;

2.2 ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია.

4. მიწოდების პირობები და ვადები:

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით) შემადგენლობით:

4.1.1 არქიტექტურული პროექტი: თავფურცელი; განმარტებითი ბარათი; ტექ.ეკონომიკური მაჩვენებლები; სიტუაციური გეგმა; გენ.გეგმა (მოსასვენებელი სკვერით, ავტოსადგომით ტევადობით 15-20 ავტ.-ზე); საძირკვლის გეგმა; ავარიული გეგმა (სავალდებულოა ავარიული გასასვლელი); გადახურვის გეგმა; ფასადები და ჭრილები; ვიზუალიზაცია (ფოტომონტაჟი, 3D ვიზუალიზაცია); გამოყენებული მასალების სპეციფიკაცია;

4.1.2 სუსტი დენები (კომპიუტერული, სატელეფონო და სატელევიზიო ქსელები);

4.1.3 სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;

4.1.4 ვიდეო-სათვალთვალო სისტემა;

4.1.5 გათბობა;

4.1.6 ვენტილაცია და კონდიცირება;

4.1.7 სარეზერვო ელექტრო მომარაგება (დიზელ-გენერატორი, დამიწების კონტური, ავტომატური გადამრთველით და დამცავი ნაგებობით);

4.1.8 შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;

4.1.9 ეზოს სარწყავი სისტემის სქემა;

4.1.10 ეზოს განათების სისტემა;

4.1.11 კონსტრუქციული ნაწილი;

4.1.12 მშენებლობის ორგანიზების პროექტი, მშენებლობის გრაფიკი;

4.1.13 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (მაქსიმალური ღირებულება 250 000 ლარი);

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში".

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის რეალიზების პერიოდში განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას წარმოდგენილი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტი, ინვოისი ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) და სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია.

6. ანგარიშსწორება

6.1 ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით;

6.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

6.3 დაფინანსების წყარო: 2011 წლის არასაბიუჯეტო შემოსავლები;

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.5 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. ფასები

7.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

7.2 შესყიდვი ობიექტის დეტალური აღწერა მოცემული დანართში N___, ფასების ცხრილი;

7.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს;

7.3.1 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოახდინოს შესრულებული პროექტის რეალიზება (განხორციელება) სხვა დამკვეთისათვის.

9.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - **საბანკო გარანტია**, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

10.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის (მომსახურების გაწევის) მიწოდების საბოლოო ვადას.

10.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდგომ 30 კალენდარული დღის ვადაში.

10.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ს.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

12.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

12.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

12.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

12.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ ხელშეკრულების 12.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას,

თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

20.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	
_____	_____
მიხეილ ღუწკაია	

დანართი #1

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ ტენდერში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - საკონკურსო წინადადების ფასი;
    - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
    - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
    - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
    - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის შეთავაზება

1.	**პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:**	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	**საკონკურსო წინანადების ღირებულება:** (მითითებული უნდა იყოს ფასი მოიცავს თუ არა დღგ-ს)	
3.	**ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:**	
4.	**ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ:**	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

საკონკურსო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)

ტექნიკური დავალება

შენობის აღწერილობა:

შენობა უნდა იყოს ორიგინალური, არასტანდარტული ფორმებისა და მოყვანილობის, მაქსიმალურად პრაქტიკული გამოყენებისათვის, ხოლო შენობის ფასადური ნაწილი უნდა იყოს შემინული.

<u>შენობის აშენებისა (რემონტის გათვალისწინებით) და ეზოს მოპირკეთების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს.</u>

ზოგადი მონაცემები: სამშენებლო მოედნის (მიწის ნაკვეთი) ფართი - 521 კვ. მეტრი;
ასაშენებელი შენობის საერთო სავარაუდო ფართი - 200-250 კვ. მეტრი
შენობაში უნდა განთავსდეს:

- მისაღები ჰოლი;
- უფროსის ოთახი (მოსასვენებელი ოთახი, ტუალეტი და საშხაპე);
- საერთო ოთახი 8 თანამშრომლისათვის;
- საოპერატორო 2 ოპერატორისათვის;
- სათათბირო ოთახი 20-25 თანამშრომლისათვის;
- 2 ოთახი ვიდეო პაემანისთვის (დაახლოებით 6-6 კვ.მ);
- ინდივიდუალური გასაუბრების ოთახი (დაახლოებით 8 კვ.მ);
- ფსიქოლოგის ოთახი (დაახლოებით 8 კვ.მ);
- არქივი(დაახლოებით 10 კვ.მ);
- 2 სან.კვანძი (კაცების, ქალების);
- სამზარეულო;
- საკუჭნაო კიბის უჯრედის ქვეშ.

განაშენიანების კოეფიციენტები: **<u>K1 = 0,5; K2 = 1,8; K3 = 0,1</u>**

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს არქიტექტურული პროექტის ელექტრონული და ამობეჭდილი ვერსია შემდეგი შემადგენლობით:

- თავფურცელი (მითითებული პროექტის სახელწოდებით, ფოტორენდერით, საპროექტო ორგანიზაციის დასახელებით და შესაბამისი რეკვიზიტებით);
- განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს: საპროექტო ტერიტორიის დახასითება, პროექტის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის დახასითება, გადახურვის და გარე მოსაპირკეთებელი, ასევე კარ-ფანჯრებზე გამოყენებული მასალების აღწერა-მითითება, შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტის განმარტება და სხვა ინფორმაცია ავტორის მოსაზრებით.
- გენ. გეგმა მომზადებული ტოპოგეგმაზე მიმდებარე ტერიტორიის, მისასვლელი გზის, ტერიტორიაზე შესასვლელის, საკადასტრო საზღვრების, ძირითადი ღერძების, ექსპლიკაციის, საპროექტო შენობის საკადასტრო საზღვრებზე მიბმის, ეზოს კეთილმოწყობის (შენობის წინ ან/და გვერდზე მოსასვენებელი სკვერით, ავტოსადგომით), წითელი და შავი ნიშნულებისა და ჩრდილოეთის ჩვენებით;
- პროექტის ესკიზები (რენდერები-გეგმარება, შენობის ოთხივე ფასადი, ჭრილები, ეზოს კეთილმოწყობა).

გამარჯვებულს გამოავლენს საკონკურსო კომისია შემდეგი ძირითადი კრიტერიუმით:

შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა, კომპაქტური და ზონალურად სწორი შიდა გეგმარება, არასტანდარტული ფორმებისა და მოყვანილობის, პრაქტიკული განმოყენებისა და ორიგინალური იდეის თვალსაზრისით, ასევე საკონკურსო წინადადების მიხედვით.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე.

<u>თანდართული დოკუმენტაცია:</u>

სიტუაციური სურათი, ტოპოგრაფიული რუქა, საკადასტრო რუქა და გეოლოგიური დასკვნა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *66 45 08 084*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011206556
მიწის ნაკვეთის ფართობი: *521* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

გეომზადების თარიღი: 04.05.11



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41

N
1:500
11.8
49.6
49.3
9.6



ქ.ბორი, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიუტორია



Line Table						
LINE	LENGTH	BEARING	X–START	Y–START	X–END	Y–END
L1	1.40	N05°07’26”E	4649873.60	427348.50	4649875.00	427348.63
L2	17.45	N08°55’27”E	4649875.00	427348.63	4649892.24	427351.34
L3	10.43	N07°52’59”E	4649892.24	427351.34	4649902.57	427352.77
L4	16.85	N09°06’54”E	4649902.57	427352.77	4649919.21	427355.44
L5	1.98	N09°38’09”E	4649919.21	427355.44	4649921.15	427355.77
L6	11.80	N80°15’11”W	4649921.15	427355.77	4649923.15	427344.14
L7	49.62	S05°57’12”W	4649923.15	427344.14	4649873.80	427338.99
L8	9.64	S81°30’19”E	4649873.80	427338.99	4649872.38	427348.52
L9	1.22	N00°51’12”W	4649872.38	427348.52	4649873.60	427348.50

ფურცელი №1

27.05.2011

1:500

პირობითი აღნიშვნები

ნაძვი
ფოთლოვანი ხე
განათება
ჭა
ღობე
ბუჩქი
ონკანი
რკინის ბოძი

შ.პ.ს."საინჟინრო საძიებო სამსახური"

შესასრულა		ი.სამხარაძე
დაამუშავა		ე.თევდორაძე
დირექტორი		ი.მარჩენკო
1:500		

marchenko ტოპო-გეოდეზიური და საინჟინრო საძიებო სამსახური
აღმაშენებლის გამზირი 89/24 კალაპტორეტის შენობა. II სართული ოთახი №7
Email: igor_m@gol.ge tel: +995 32 204 209 mob: 899 429 539

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – პრობაციის ეროვნული სააგენტოს გორის რეგიონალური ბიუროს შენობა.

დამკვეთი – სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

ობიექტის მდებარეობა – ქ. გორი, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ (ზონა 66, სექტორი 45, კვარტალი 08, ნაკვეთი 084).

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

მშენებლობის ტიპი – ახალი.

პროექტით გათვალისწინებულია გამოყოფილ 521 კვ.მ. ფართზე ორსართულიანი, უსარდაფო შენობის მშენებლობა.

პირველი სართულის იატაკის ნიშნული დაზუსტდება გეგმარებით ნიშნულთან დამოკიდებულებაში.

შენობის ტიპი – ბლოკის მზიდკედლებიანი შენობა.

საძირკვლების კონსტრუქცია – ჩვეულებრივი – ლენტური.

დატვირთვები საძირკვლებზე – 100 კნ/მ (10 ტძ/მ).

საძირკვლების მასალა – რკინაბეტონი.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული, 4 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსია.

დანართი: ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში

დავალება გასცა გ. თვაური.

ქ. გორში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს გორის რეგიონალური ბიუროს შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პ ი რ ო ბ ე ბ ი

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42) დაკვეთით, შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, 2011 წლის მაისში, მოცემულ ობიექტზე ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

საკვლევი უბნის ადგილმდებარეობა და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დასკვნასთან დართულ ტექნიკურ დავალებაში.

გეოლოგიური აგებულების შესასწავლად, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07–87, პნ 02.01–08) მოთხოვნების გათვალისწინებით სამშენებლო უბნის საზღვრებში გაიბურღა 4 ჭაბურღილი, სიღრმით 6,0–7,0 მ-მდე, სულ 26,0 გრძივი მეტრი.

ჭაბურღილების განლაგება მოცემულია დამკვეთის მიერ გადმოცემულ 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმაზე.

ტოპოძირად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბის ახალი ტოპოგეგმა, გადაღებული შპს საინჟინრო საძიებო სამსახურის (მარჩენკო) მიერ.

ლაბორატორიული შესწავლისათვის, უბანზე გავრცელებული თიხოვანი გრუნტიდან აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 8 ნიმუში (მონოლითი), რომელთა შესწავლა ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. შედეგები ერთვის დასკვნას კრებსითი ცხრილის სახით.

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს კვერნაკის ქედის დასავლეთი ფერდის და მდ. მტკვრის მარცხენა ჭალისზედა ტერასის შერწყმის ადგილს, რელიეფის დამრეცი დახრით დასავლეთისაკენ.

ჩატარებული კვლევის მონაცემების თანახმად, მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი ხასიათდება მარტივი გეოლოგიური აგებულებით. კერძოდ აქ, მიწის ზედაპირიდან 1,1–1,6 მ-მდე, გავრცელებულია 0,9–1,0 მ. სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტი (tQ_{IV}, ფენა 1) – წარმოდგენილი სამშენებლო ნაგვის, ღორღის და თიხის ნარევით.

ნაყარი გრუნტის ქვეშ, კვლევის სიღრმემდე (6–7 მ) გავრცელებულია ორი სახესხვაობის გრუნტი: თიხოვანი (ფენა 2) და მსხვილნატეხოვანი (ფენა 3).

თიხოვანი გრუნტი წარმოდგენილია დელუვიური გენეზისის (dQ_{IV}) კარბონატული, ძნელპლასტიკური კონსისტენციის ღია ყავისფერი თიხით, კენჭების იშვიათი ჩანართებით.

მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოდგენილია ალუვიური გენზისის (dQ_{IV}), თიხის 40–45% შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტით.

დასახელებული გრუნტები ურთიერთმონაცვლეობენ ერთმანეთთან. ჭრილში უპირატესი გავრცელებით ხასიათდება მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენების სიმძლავრე 1,0–2,0 მ-ის ფარგლებში).

უბანზე, კვლევის სიღრმის ფარგლებში, გრუნტის წყალი არ არის გავრცელებული, თუმცა ჭაბურღილებში აღინიშნა სიღრმის ცალკეული ინტერვალები, სადაც თიხოვანი გრუნტი წყალგაჯერებულია (სველია).

როგორც აღინიშნა ზემოთ, ტერიტორიაზე თიხოვანი გრუნტიდან აღებული იყო დაურღვეველი სტრუქტურის 8 ნიმუში, რომლებზედაც ლაბორატორიაში განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი.

ქვემოთ, ცხრილში მოცემულია ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტის ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები:

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებული სიდიდეების ცვალებადობის დიაპაზონი	საშუალო ნორმატიული მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	-	0,20 – 0,22	0,21
2	ტენიანობა		W	%	23,9 – 28,1	26,3
3	სიმკვ-რივე	გრუნტის	ρ	$г/см^3$	1,87 –1,96	1,91
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,48 – 1,57	1,58
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,73	2,73
4	ფორიანობა		n	%	42,3– 45,9	44,5
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	-	0,734 – 0,850	0,802
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	-	0,30 – 0,48	0,40
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	-	0,84 – 0,97	0,90

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით შესწავლილი გრუნტი თიხაა ($\overline{Ip}$=0,21), რომლის კონსისტენცია ძნელპლასტიკურია ($\overline{I_L}$=0,40).

უნდა აღინიშნოს, რომ ≈4,0 მ-ის ქვემოთ კონსისტენციის მაჩვენებელი (I_L) მატულობს და უახლოვდება რბილპლასტიკურის მნიშვნელობას (I_L=0,43–0,48).

ტენიანობის ხარისხის საშუალო მნიშვნელობა S_r=0,90>0,80, რაც მიანიშნებს, რომ გრუნტის ფორები მთლიანად შევსებულია წყლით (წყალგაჯერებულია).

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საანგარიშოდ.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული სამუშაოების მონაცემების საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, გამოყოფილი უბანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან აქ არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა) არ აღინიშნება.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07–87-ის მე-10 დანართის თანახმად, უბანი მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი).

2. უბნის ლითოლოგიურ ჭრილში, გამოიყოფა ორი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (**სგე**):

   I **სგე** – თიხა (ფენა 2);

   II **სგე** – კენჭნარი (ფენა 3).

   ნაყარი გრუნტი მხედველობაში არ მიიღება, მოჭრის აუცილებლობის გამო.

3. უბნის ლითოლოგიური სურათიდან გამომდინარე, შენობის დაფუძნება შეიძლება განხორციელდეს ორივე **სგე**-ზე.

   საძირკვლების კონსტრუქცია მიღებული იქნეს დავალებით გათვალის-წინებული ჩვეულებრივი-ლენტური.

4. ფუძის ანგარიშებისთვის, ქვემოთ მოცემულია ორივე **სგე**-ის გრუნტის აუცილებელი საანგარიშო-ნორმატიული მახასიათებლები, მიღებული ლაბორატორიულად განსაზღვრული ფიზიკური პარამეტრების

ნორმატიული მნიშვნელობის გამოყენებით ($\overline{I_L}$, $\bar{e}$), სნ და წ პნ 02.01–08-ის დანართი 2-ის ცხრილი 2, 3, დანართი 3, ცხრ. 1, 3, აგრეთვე საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე (დამპროექტებლის საანგარიშო-თეორიული ცნობარი).

I **სბე** –სთვის (ფენა 1):

სიმკვრივე ρ=1,90 გ/სმ^3;

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=16°;

ხვედრითი შეჭიდულობა c=46 კპა (0,46 კგძ/სმ^2);

დეფორმაციის მოდული E=16 მპა (160 კგძ/სმ^2);

პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=250 კპა (2,5 კგძ/სმ^2).

საგების კოეფიციენტი k=3,0 კგ/სმ^3;

პუასონის კოეფიციენტი μ=0,42

II **სბე** –სთვის (ფენა 2):

სიმკვრივე ρ=1,95 გ/სმ^3;

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=28°;

ხვედრითი შეჭიდულობა c=10 კპა (0,10 კგძ/სმ^2);

დეფორმაციის მოდული E=35 მპა (350 კგძ/სმ^2);

პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=350 კპა (3,5 კგძ/სმ^2);

საგების კოეფიციენტი k=6 კგ/სმ^3;

პუასონის კოეფიციენტი μ=0,27.

5. სნ და წ პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. გორი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას.

   ამავე ნორმატიული დოკუმენტაციის ცხრ. 1-ის თანახმად, სეისმური თვისებების მიხედვით გრუნტები მიეკუთვნებიან:

   ა) ნაყარი (ფენა 1) – III კატეგორიას;

   ბ) თიხოვანი და კენჭნაროვანი გრუნტი (ფენები 2, 3) – II კატეგორიას.

   უბნის საანგარიშო სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი.

6. საძირკვლების მოსაწყობი თხრილები შეიძლება დამუშავდეს ვერტიკალურად, გაუმაგრებლად.

7. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV–2–82 I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:

ა) ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) – დამუშავების სამივე სახეობისათვის (ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) – II ჯგუფს, სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24^ა);

ბ) თიხა (ფენა 2) – ყველა სახით დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1900 კგ/მ^3 (რიგ. №8^ბ).

გ) კენჭნარი (ფენა 3) – ყველა სახით დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ^3 (რიგ. №6^ვ).

ინჟინერ გეოლოგი კ. სირაძე

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი ზ. კვაჭანტირაძე

ჭაბ. №1

რიგითი №№	ფენის სიღრმე: დან	ფენის სიღრმე: მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 615.90	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი: გამ.	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი: დამყ.
1	0.00	1.10	1.10	614.80	1			
2	1.10	2.00	0.90	613.90	2	ძნელკლასტი-კური		
3	2.00	3.60	1.60	612.30	3			
4	3.60	5.00	1.40	610.90	2	ძნელკლასტი-კური		
5	5.00	6.00	1.00	609.90	3			

ჭაბ. №2

რიგითი №№	ფენის სიღრმე: დან	ფენის სიღრმე: მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 616.40	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი: გამ.	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი: დამყ.
1	0.00	1.10	1.10	615.30	1			
2	1.10	2.00	0.90	614.40	2	ძნელკლასტი-კური		
3	2.00	3.70	1.70	612.70	3			
4	3.70	5.00	1.30	611.40	2	ძნელკლასტი-კური		
5	5.00	7.00	2.00	609.40	3			

ჭაბ. №3

რიგითი №№	ფენის სიღრმე: დან	ფენის სიღრმე: მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 616.30	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი: გამ.	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი: დამყ.
1	0.00	1.30	1.30	615.00	1			
2	1.30	2.50	1.20	613.80	2	ძნელკლასტი-კური		
3	2.50	4.20	1.70	612.10	3			
4	4.20	4.90	0.70	611.40	2	ძნელკლასტი-კური		
5	4.90	7.00	2.10	609.30	3			

ჭაბ. №4

რიგითი №№	ფენის სიღრმე: დან	ფენის სიღრმე: მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 616.50	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია (ფენიანობა)	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი: გამ.	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი: დამყ.
1	0.00	1.60	1.60	614.90	1			
2	1.60	2.50	0.90	614.00	2	ძნელკლასტი-კური		
3	2.50	4.20	1.70	612.30	3			
4	4.20	5.00	0.80	611.50	2	ძნელკლასტი-კური		
5	5.00	6.00	1.00	610.50	3			

პ ი რ ო ბ ი თ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

tQ_{IV} (1)	ნაყარი - სამშენებლო ნაგვის, თიხის და ღორღის ნარევი-შემკვრივებული
dQ_{IV} (2)	თიხა ღია ყავისფერი, ძნელკლასტიკური, ძლიერ კარბონატული, კენჭების იშვიათი ჩანართებით
aQ_{IV} (3)	კენჭნაროვანი ბრუნტი, თიხის 40-45%-მდე შემავსებლით
■	ბრუნტის ნიმუშის აღების ადგილი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა				
განყ.უფროსი	ს. სირაძე					
მთ.გეოლოგი	ზ. კვაჭანტირაძე		ქ. ბორი პროგაციის ეროვნული სააგენტოს შენობა	სტადია	მასა	მასშტაბი
ინჟ.გეოლოგი	კ. სირაძე			მ		100
დაამუშავა	ნ. შერვაშიძე					
შეამოწმა	მ. ბურდული					
ტოპოგრაფი	მ. მამუკაშვილი			ფურცელი 2	ფურცლები 5	
			ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები	შპს „ახალი საქართველოს მშენებელი" ქ. თბილისი		

ჭ რ ი ლ ი 1 - 2



გამონამშევრების №№	ჭაბ.№1			ჭაბ.№2
მიწის ზედაპირის ნიშნულები	615.80	615.90		616.40
მანძილი მ-ში		2.00	9.50	1.00

პ ი რ ო ბ ი თ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

tQ_{IV} (1) ნაყარი - სამშენებლო ნაგვის, თიხის და ღორღის ნარევი-შემკვრივებული

dQ_{IV} (2) თიხა ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ძლიერ კარბონატული, კენჭების იშვიათი ჩანართებით

aQ_{IV} (3) კენჭნაროვანი ბრუნტი, თიხის 40-45%-მდე შემავსებლით

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა			
განყ.უფროსი	ს. სირაძე				
მთ.გეოლოგი	ზ. კვაჭანტირაძე		ქ. გორი პროგაციის ეროვნული სააგენტოს შენობა	სტადია	მასა	მასშტაბი
ინჟ.გეოლოგი	კ. სირაძე			მ		100
დაამუშავა	ნ. შერვაშიძე					
შეამოწმა	მ. ბურდული					
ტოპოგრაფი	მ. მამუკაშვილი			ფურცელი 3	ფურცლები 5	
			უბნის ლითოლოგიური ჭრილი	შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი" ქ. თბილისი		

ჭ რ ი ლ ი 3 - 4



გამონამშევრების №№	ჭაბ.№3			ჭაბ.№4	
მიწის ზედაპირის ნიშნულები	616.30			616.50	617.00
მანძილი მ-ში		2.00	10.00	2.00	

პ ი რ ო ბ ი თ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

tQ_{IV} — 1 — ნაყარი - სამშენებლო ნაგვის, თიხის და ღორღის ნარევი-შემკვრივებული

dQ_{IV} — 2 — თიხა ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ძლიერ კარბონატული, კენჭების იშვიათი ჩანართებით

aQ_{IV} — 3 — კენჭნაროვანი ბრუნტი, თიხის 40-45%-მდე შემავსებლით

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა				
განყ.უფროსი	ს. სირაძე					
მთ.გეოლოგი	ზ. კვაჭანტირაძე		ქ. ბორი პროგაციის ეროვნული სააგენტოს შენობა	სტადია	მასა	მასშტაბი
ინჟ.გეოლოგი	კ. სირაძე			მ		100
დაამუშავა	ნ. შერვაშიძე					
შეამოწმა	მ. ბურდული					
ტოპოგრაფი	მ. მამუკაშვილი			ფურცელი 4	ფურცლები 5	
			უბნის ლითოლოგიური ჭრილი	შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი" ქ. თბილისი		

ჭ რ ი ლ ი I - I'



გამონამუშევრების №№	I					I'
მიწის ზედაპირის ნიშნულები	616.40	616.60	616.60	616.40	616.40	
მანძილი მ-ში		13.00	15.50	16.00	4.50	

პ ი რ ო ბ ი თ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

tQ_{IV} — ნაყარი - საშენებლო ნაგვის, თიხის და ღორღის ნარევი-შემკვრივებული

dQ_{IV} — თიხა დია ყავისფერი, ძნელპლასტიკური, კლიერ კარბონატული, კენჭების იშვიათი ნანართებით

aQ_{IV} — კენჭნაროვანი ბრუნტი, თიხის 40-45%-მდე შემავსებლით

თანამდებობა	მარი	ხელმოწერა	ქ. ბორი პროგაციის ერთეული სააბენტოს შენობა	სტადია	მასა	მასშტაბი
განყოფილი	ს. სირაძე			მ		100
მთ.მეოლოგი	ზ. კვაპანტირაძე					
ინჟმეოლოგი	კ. სირაძე					
დაამუშავა	ნ. შერვაშიძე					
შეამოწმა	მ. ბურდული					
ტოპოგრაფი	მ. მამუკაშვილი			ფურცელი 5	ფურცლები 5	
			უბნის ლითოლოგიური პრილი	შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი" ქ. თბილისი		